თბილისის არქიტექტურა

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

განცხადება კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწოფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე

სარჩევი:

- საკონკურსო განცხადება;
- სამსახურის უფროსის ბრძანება (დანართი #1);
- ტერიტორიის აერო–ფოტო გადაღება;
- ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება;
- ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება კომუნიკაციების დატანით (საარქივო მასალიდან);
- არსებული განაშენიანების განშლები;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
- ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე არსებული შენობა – ნაგებობების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური სამეთვალყურეო სამუშაოების ანგარიში.

საკონკურსო განცხადება

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური აცხადებს კონკურსს (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია) საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- კონკურსის მიზანია ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენის კონცეფციის სახელმწიფო შესყიდვა.
- საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს ქ. თბილისის პუშკინის ქუჩა.
- კონკურსში მონაწილე პირს საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლია შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდსა – www.tas.ge და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ-გვერდზე www.archunion.ge განთავსებული საკონკურსო მასალებიდან.
- საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამოავლენოს 3 (სამი) საუკეთესო კონცეფცია და შესაბამისად მიანიჭოს მათ I, II და III ადგილები.
- გამარჯვებული კონცეფციების შესყიდვის ფასი (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) შეადგენს:
  - I ადგილი – 7 000 (შვიდი ათასი) ლარი;
  - II ადგილი – 2 000 (ორი ათასი) ლარი;
  - III ადგილი – 1 000 (ერთი ათასი) ლარი;
- საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge.
- საკონკურსო წინადადებების მიღება იწყება საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან და გრძელდება ერთი თვე.
- კონკურსში მონაწილე პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tas.ge.
- საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ, ღია კონკურსის ფორმით, საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულებიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში;
- გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდება საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**